

შპს „აეროსოფტი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს „აეროსოფტი“-ს დირექტორი
გიორგი შენგელია

1

სარჩევი	
ზოგადი ინფორმაცია	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	4
საქმიანობის შედეგები	6
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობა	8
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	9
განცხადება შესაბამისობის შესახებ	9
ოპერაციები უცხოურ ვალუტაში	9
ფული და ფულის ეკვივალენტები	10
ამონაგების აღიარება	10
შემოსავლები და ხარჯები	10
სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები	10
მოგება-ზარალი	10
მოგების გადასახადი	10
ძირითადი საშუალებები	10
არამატერიალური აქტივები	11
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	11
საწვავის აღრიცხვა	11
ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის აღრიცხვა	11
სხვა აქტივების აღრიცხვა	12
იჯარა	12
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
სავაჭრო ვალდებულებები	12
სესხები	12
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	12
ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის	12

განმარტებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისათვის	12
1. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	12
2. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	13
3. მარაგები.....	13
4. სხვა მიმდინარე აქტივები.....	14
5. ძირითადი საშუალებები	14
6. არამატერიალური აქტივები	16
7. სავაჭრო ვალდებულებები	17
8. საგადასახადო ვალდებულებები.....	18
9. სხვა ვალდებულებები.....	18
10. მოკლევადიანი სესხები, გადასახდელი პროცენტი და საბანკო გარანტიები.....	18
11. საწესდებო კაპიტალი	19
განმარტებები საქმიანობის შედეგების ანგარიშგებისთვის.....	19
12. ამონაგები.....	19
13. სხვა შემოსავალი	20
14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	21
15. მოგების გადასახადის ხარჯი.....	22
16. სხვა არასაოპერაციო ხარჯი	22
17. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ვალდებულება	22
18. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები	22
19. ინფორმაცია კაპიტალის ცვლილების შესახებ.....	23
20. განმარტება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ	23
21. პირობითი ვალდებულებები	24
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	24
23. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები.....	24
24. ფინანსური რისკები.....	24
25. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	24

ზოგადი ინფორმაცია

შპს “აეროსოფტი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია საქართველოში მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2010 წლის 06 ივნისს. იგი საქმიანობას ეწევა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მისი იურიდიული მასშტაბითა: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, დავით აღმაშენებლის გამზ.124. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საცალო ვაჭრობა კომპიუტერებით, პერიფერიული და ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობებით სპეციალიზირებულ მაღაზიებში და სხვა საქმიანობა, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

კომპანიის კაპიტალის 100%-ის მფლობელია დავით ჩხორთოლია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრისათვის

	შენიშვნები	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1	84,608	68,743	89,152
სავაჭრო მოთხოვნები	2	53,481	47,452	36,288
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	2	205,036	137,250	195,319
მარაგები	3	1,065,463	1,222,817	1,081,302
- მზა პროდუქცია			1,222,817	
- სხვა		1,065,463		1,081,302
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	4	49,846	50,598	154,273
ბიოლოგიური აქტივები				
- თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	6	8,889	9,753	364
ძირითადი საშუალებები	5	40,230	60,291	92,832

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები		1,507,553	1,596,904	1,649,530

ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	7	186,323	85,616	75,299
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ				
საგადასახადო ვალდებულებები	8	0	0	32,916
გამოუმუშავებელი შემოსავალი				
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	10	0	219,045	379,985
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
მიღებული გრანტები				
სხვა ვალდებულებები	9	0	4,699	0
სულ ვალდებულებები		186,323	309,360	488,200

საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		865	14,865	14,865
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		1,320,365	1,272,679	1,146,465
გადაფასების				

რეზერვი				
სხვა რეზერვები				
სულ საკუთარი კაპიტალი	11	1,321,230	1,287,544	1,161,330
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,507,553	1,596,904	1,649,530
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,458,434	1,526,860	1,556,689
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		186,323	90,315	488,555

საქმიანობის შედეგები

	შენიშვნები	2020	2019
ნეტო ამონაგები	12	3,997,147	5,585,309
საქონლის გაყიდვიდან		3,997,147	5,585,309
მომსახურების გაწევიდან			2,126
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(3,250,355)	(4,520,761)
საწყისი მარაგები			(1,081,302)
მარაგების შესყიდვა			(4,662,276)
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები			1,222,817
საერთო მოგება		746,792	1,064,548

შპს „აეროსოფტი“-ს დირექტორი
გიორგი შენგელია

სხვა შემოსავალი	13	34,425	53,465
დასაქმებულთა ანაზღაურება	17	(316,991)	(417,960)
ცვეთა და ამორტიზაცია		(21,735)	(29,544)
საპროცენტო შემოსავალი:			
საპროცენტო ხარჯი :	10	(8,204)	(17,383)
ოჯარის ხარჯი	18	(230,928)	(344,744)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	14	(104,620)	(178,446)
სულ საოპერაციო ხარჯები		(648,053)	(934,612)
საოპერაციო მოგება		98,739	129,936

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		20,640	743
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		(10,824)	(4,434)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		108,555	126,245
მოგების გადასახადი	15	(12,343)	(31)
მოგება/(ზარალი)		96,212	126,214

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		96,212	126,214

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	19	1,287,544	1,161,330
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(48,526)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები		(14,000)	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1,321,230	1,287,544

ფულადი სახსრების მოძრაობა

		2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	20	289,711	172,776
		(638)	(13,819)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(295,105)	(180,615)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		(6,032)	(21,658)
სავალუტო კურსის ეფექტი		21,897	1,249
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		68,743	89,152
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		84,608	68,743

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

საწარმო ფინანსური ანგარიშგება, ფულადი ნაკადების ანგარიშგების გარდა, მოამზადა დრიცხვის მეთოდის საფუძველზე.

განცხადება შესაბამისობის შესახებ

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა (დაშვებულია, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში) და „მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის ” (მსს ფასს) (IFRS for SMEs) შესაბამისად. ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად ხდება მესამედ. 2019 წელს წარდგენილ იქნა 2018,2017,2016 წლების საანგარიშგებო პერიოდების ფინანსური ანგარიშგება, ხოლო 2020-ში - 2019 წლის. კომპანია წინა საანგარიშგებო პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვრიდან. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ, არსებითად არ განსხვავდებოდა იმ სააღრიცხვო პოლიტიკისაგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი. შესაბამისად, 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები მოცემულია ერთეულ ლარში და დამრგვალებულია მთელ რიცხვამდე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი არის კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „კონვერტაციის ხარჯი“. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის იყო შემდეგი:

ვალუტის დასახელება	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	3,2766	4,0233
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	2,8677	3,2095
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	2,6766	3,0701

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა, ან შესრულდება მომსახურება. ამონაგების აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და დღგ-ს გარეშე.

კომპანიის მიერ შესყიდული საქონლიდან დეფექტურის გამოვლენის შემთხვევაში ხდება დეფექტური საქონლის თავმოყრა, შემდგომ შემოსავლების სამსახურის ინფორმირება გასანადგურებელი საქონლის შესახებ და მასთან შეთანხმებით და მათ მიერ გაცემული აქტის საფუძველზე ჩამოიწერება ამგვარი საქონელი, რომელიც აისახება ხარჯებში.

შემოსავლები და ხარჯები

შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგება-ზარალი

წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება დივიდენდის გასაცემად, საწარმოს რეინვესტირებისათვის ან სხვა დანიშნულებით დამფუძნებელი-პარტნიორის გადაწყვეტილების საფუძველზე.

მოგების გადასახადი

მოგების განაწილება და დაბეგვრა ხდება სსკ-ს 98-ე მუხლის საფუძველზე. მოგების გადასახადის ხარჯი იანგარიშება საანგარიშგებო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობით - საქართველოს საგადასახდო კოდექსის მიხედვით - ე.წ. „ესტონური მოდელით“ ყოველთვიური შედეგის მიხედვით. საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებებში ასახული გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით).

ძირითადი საშუალებები

კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს, ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აქტივთა ჯგუფს მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები ჯგუფების მიხედვით შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-11
ავტოსატრანსპორტო საშუალება	5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში შეცვლა. აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარდება წმინდა თანხით როგორც სხვა საოპერაციო მოგება/ზარალი. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომელიც შესყიდულია ცალკე, აღირიცხება თვითღირებულებით შემცირებული ნებისმიერი აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების ოდენობით, თუ ასეთი არსებობს. არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით აქტივის შეფასებული მომსახურების წლების მანძილზე. ამორტიზაციის პერიოდი და ცვეთის პროცენტი უნდა გადაისინჯოს ყოველი წლის ბოლოს. საადრიცხვო შეფასების ცვლილების ეფექტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, აღირიცხება პერსპექტიულად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შემენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს. სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და სავარაუდო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვის მეთოდი უწყვეტია. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. ყოველი საანგარიშო თარიღისათვის ფასდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურება. სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების შემთხვევაში, საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასყიდ ფასამდე, გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით, გაუფასურების ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

საწვავის აღრიცხვა

ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ტალონებით და აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით. ტალონების აღრიცხვა და ანგარიშგაღებულ პირზე გაცემა აღირიცხება უწყისებში. საწვავი ჩამოიწერება სასაქონლო ზედნაღებებისა და დაგეგმილი ყოველდღიური მარშრუტების შესაბამისად ფაქტობრივად გარბენილი კილომეტრებისა და ხარჯის ნორმების შესაბამისად.

ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის აღრიცხვა

მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს.

50 ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები (კალკულატორი, ასაკინძი მოწყობილობები და სხვა) მარაგებში არ აისახება ექსპლუატაციაში გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს.

კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აუცილებელი ნივთები და მასალები (კარტრიჯი, დისკები, ეკრანის გამწმენდი სითხე და სხვა) მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს.

სხვა აქტივების აღრიცხვა

მრავალჯერადი გამოყენების აქტივები, რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, აისახება სხვა მიმდინარე აქტივების შემადგენლობაში.

იჯარა

შპს „აეროსოფტ“-ში არ ფიქსირდება ფინანსური იჯარა.

კომპანიაში ფიქსირდება ჩვეულებრივი იჯარა. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რელიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს თუ იარსებებს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი, მაშინ გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსაველში ან სხვა ხარჯებში.

სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოს ვალდებულებები (ხელფასები) აღირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც ხდება შესაბამისი მომსახურების გაწევა კომპანიის თანამშრომლების მიერ. ერთჯერადად დაქირავებულის მომსახურების ანაზღაურების ღირებულება განისაზღვრება ჩატარებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის ან სალაროს გასავლის ორდერის მიხედვით.

ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის

საგარანტიო ანარიცხი არ შექმნილა, რადგან საქონელი იყიდება მწარმოებლის გარანტიით. საგარანტიო მომსახურება ხორციელდება მწარმოებელი კომპანიის მიერ ავტორიზებულ სერვის-ცენტრებში და შესაბამისად, კომპანიის მიერ ასეთი ტიპის მომსახურების ხარჯად აღიარება არ ხდება.

განმარტებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისათვის

1. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	9,253	18,728	57,948
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	30,779	19,512	30,918
უცხოური ვალუტა	44,575	1,825	286

რეზიდენტ ბანკში			
ნალი ფული უცხოურ ვალუტაში	1	28,678	
სულ:	84,608	68,743	89,152

2. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

წლები	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
მოთხოვნები იურუდიულ პირებზე საქონლის მიწოდებიდან	13,150	1,681	6,545
განვადება, ტერმინალებით გადახდა- მოთხოვნები ფიზიკურ პირებზე საქონლის მიწოდებიდან	40,331	45,771	29,743
სულ:	53,481	47,452	36,288

წლები	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
გადახდილი ავანსები უცხოელ მომწოდებლებზე	201,055	133,482	190,752
გადახდილი ავანსები ადგილობრივ მომწოდებლებზე	3,981	3,768	4,567
სულ :	205,036	137,250	195,319

3. მარაგები

შპს „აეროსოფტი“-ს დირექტორი
გიორგი შენგელია

მარაგები 2020 წლის ბოლოსათვის შედგებოდა გასაყიდი საქონლისაგან 1,054,000 და სხვა ნედლეული და მასალებისაგან - 11,463 ლარის ღირებულებით, სულ სასაქონლო მატერიალური მარაგის მთლიანი ღირებულებაა 1,065,463ლარი. 31.12.2019 წლის მდგომარეობით შედგებოდა გასაყიდი საქონლისაგან - 1,221,582 და სხვა მარაგებისგან - 1,235 ლარი. სულ ჯამში - 1,222,817ლარი; 31.12.18 - გასაყიდი საქონლისაგან- 1,081,302; 01.01.2018 - გასაყიდი საქონელი - 1,049,981 ლარი.

4. სხვა მიმდინარე აქტივები

2020 წლის ბოლოსათვის 49,846 ლარის ღირებულების სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს: არაცვეთად მცირეფასიან აქტივებს ღირებულებით 1,575 ლარი, საგადასახადო აქტივებს - 48,271; 2019 წელს 50,598 ლარის ღირებულების სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს: არაცვეთად მცირეფასიან აქტივებს ღირებულებით 1,491 ლარი, საგადასახადო აქტივებს - 25,722 ლარი, დროებით ანგარიშს სსკ-ს 98 ორი პრიმა მუხლის მიხედვით პირისათვის გადახდილი ავანსისა და გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებული საქონლის საკომპენსაციო თანხის აღსარიცხავად - 23,385 ლარი.31.12.2018-ის მდგომარეობით სხვა მიმდინარე აქტივები 154,273 ლარი შედგება: ნედლეული (დიზელი) და ვაჭრობისათვის დამხმარე მასალები - 1,418ლარი და15,2855 ლარი დროებით ანგარიშს სსკ-ს 98 ორი პრიმა მუხლის მიხედვით პირისათვის გადახდილი ავანსისა და გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებული საქონლის საკომპენსაციო თანხის აღსარიცხავად.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები დაყოფილია კატეგორიებად, რომლებიც გაერთიანებულია შემდეგ სამ ჯგუფში: პირველ ჯგუფში შედის ავეჯი ოფისისათვის, ელექტრონული, კავშირგაბმულობისა და უსაფრთხოების მოწყობილობები, კომპიუტერები, მაღაზიის აღჭურვილობა, სარეკლამო მოწყობილობა, სტენდები და სხვა, მე-2 ჯგუფში შედის ავტოსატრანსპორტო საშუალება, ხოლო მე-3 ჯგუფში შედის იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა.

ძირითადი საშუალებები

		ოფისის აღჭურვ ილობა, ავეჯი და სხვა ინვენტა რი	სატრანს პორტო საშუალ ება	იჯარით აღებულ ი ქონების კეთილმ ოწყობა	ს უ ლ
01.01.2018	თვითღირე ბულება	117,286	8,728	814	126,828
01.01.2018	დაგროვილ ი ცვეთა	(43,290)	(6,671)	0	(49,961)
01.01.2018	ნეტო საბალანსო ღირებულე	73,996	2,056	814	76,867

	ბა				
31.12.2018	შეძენილია	17,819	12,849	15,011	45,679
31.12.2018	პერიოდის ცვეთა	(21,841)	(2,959)	(2,902)	(27,701)
31.12.2018	გასულია	(1,199)	(8,728)		(9,927)
31.12.2018	გასულის ცვეთა	685	7229		7914
31.12.2018	თვითღირე ბუღება	133,906	12,849	15,826	162,581
31.12.2018	დაგროვილი ცვეთა	(64,446)	(2,401)	(2,902)	(69,749)
31.12.2018	ნეტო საბალანსო ღირებულება	69,460	10,448	12,924	92,832
2019	შეძენა	7,603	0	0	7,603
2019	გასვლა	(45,994)	0	0	(45,994)
2019	გასულის ცვეთა	35,394			35,394
2019	პერიოდის ცვეთა	(23,809)	(2,570)	(3,165)	(29,544)
31.12.2019	ნეტო საბალანსო ღირებულება	42,654	7,878	9,759	60,291
31.12.2019	თვითღირე ბუღება	95,515	12,848	15,826	124,189
31.12.2019	დაგროვილი ცვეთა	(52,861)	(4,970)	(6,067)	(63,898)

		ოფისის აღჭურვილობა , ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალება	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ ჯამი
2020	შეძენა	632	0	0	632
2020	გასვლა		0	0	
2020	გასულის ცვეთა დარჩენილი თვითღირებულებით	25	0	0	25
2020	პერიოდის ცვეთა	(15,455)	(2,359)	(2,905)	(20,719)
31.12.20	ნეტო საბალანსო ღირებულება	27,857	5,519	6,854	40230

	დაგროვილი თვითღირებულებ ა	96,147	12,849	15,826	124,822
	დაგროვილი ცვეთა	68,291	7,329	8,972	84,592

6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ ახალ კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამულ უზრუნველყოფას ფინა და სასაქონლო ნიშანს, რომლებიც ასახულია დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულებით. მათი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით სასარგებლო მომსახურების 10 წლის ვადაში. ყოველი წლის ბოლოს ხდება ვადებისა და საპროცენტო განაკვეთის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილების განხორციელება. 2020 წლის განმავლობაში ახალი პროგრამის შეძენისთანავე მოხდა ძველი პროგრამების ორისისა და ქვიპბუქსის ხმარებიდან ამოღება.

არამატერიალური აქტივები		
01.01.2018	თვითღირებულება	1,078
01.01.2018	დაგროვილი ცვეთა	(606)
01.01.2018	ნეტო საბალანსო ღირებულება	472
31.12.2018	დაგროვილი თვითღირებულება	1,078
31.12.2018	დაგროვილი ცვეთა	(714)
	ნეტო საბალანსო ღირებულება	364
2019	შეძენა	9,568

2019	ცვეთა პერიოდის	(180)
31.12.2019	თვითღირებულება	10,646
31.12.2019	დაგროვილი ცვეთა	(893)
31.12.2019	ნეტო საბალანსო ღირებულება	9,753
2020		
2020	შეძენა	381
2020	ცვეთა პერიოდის	(1,016)
2020	გასვლა	(1,078)
2020	გასულის ცვეთა	849
31.12.2020	ნეტო საბალანსო ღირებულება 31.12.2020	8,889
31.12.2020	დაგროვილი თვითღირებულება	9,949
31.12.2020	დაგროვილი ცვეთა	(1,060)

7. საავაჭრო ვალდებულებები

	31.12.20	31.12.19	31.12.18
საქონლის შემენიდან წარმოქმნილი ვალდებულება ადგილობრივი მომწოდებლებიდან	47,825	71,258	56,727
იმპორტირებული საქონლის შემენიდან წარმოქმნილი ვალდებულება	132,090	358	8,575
მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულება	6,708	14,000	9,997
სულ:	186,323	85,616	75,299

შპს „აეროსოფტი“-ს დირექტორი
გიორგი შენგელია

8. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები წლის განმავლობაში ძირითადად შეადგენდა გადასახდელი დღგ-ს, საშემოსავლო გადასახადისა და მოგების გადასახადისაგან ე.წ. ესტონური მოდელის მიხედვით, რაც 2020 და 2019 წლების ბოლოსათვის არ ფიქსირდება; 31.12.2018 წლისთვის საგადასახადო ვალდებულებები შეადგენდა 32,916 ლარს, ხოლო 01.01.18 წლისთვის - 45,718 ლარს.

9. სხვა ვალდებულებები

მიღებული ავანსები აღირიცხება სხვა ვალდებულებებში. 2019 წლის 31 დეკემბერს შპს სან პეტროლიუმ ჯორჯიასაგან მიღებულ იქნა თიბისი ბანკის მეშვეობით თანხა 4,699 ლარი ინვოისის საფუძველზე ავანსად, ხოლო საქონლის ფაქტიური მიწოდება განხორციელდა 08.01.2020-ში. 2020 წლის განმავლობაში სხვა მიღებული ავანსების განმავლობაში სრულად მოხდა საქონლის ფაქტიური მიწოდება.

10. მოკლევადიანი სესხები, გადასახდელი პროცენტი და საბანკო გარანტიები

სს პროკრედიტ ბანკს გახსნილი ჰქონდა 20.11.2019 – 20.11.2020 პერიოდზე კომპანიისთვის საკრედიტო ხაზი N76.6328 თანხაზე 250,000 აშშ დოლარზე საბრუნავი საშუალებებისა და წინა პერიოდის საკრედიტო ხაზის გადასაფარად შემდეგი პირობებით:

საპროცენტო სარგებელი კრედიტის ათვისებულ თანხაზე ათვისებული თანხის წლიური 7%, საპროცენტო სარგებელი კრედიტის აუთვისებელ თანხაზე წლიური 0,50%.

ამჟამად სს პროკრედიტ ბანკს გახსნილი აქვს საკრედიტო ხაზი #76.7187 პერიოდზე 20.11.2020 – 22.11.2021; ხაზის პროცენტი - -7%, თანხა - 250,000 აშშ დოლარი.

	2020	2019	2018
ათვისებული თანხები	1,534,906	3,605,580	4,583,180
დაბრუნებული თანხები	1,752,456	3,766,210	4,431,721
გადახდილი პროცენტები	8,204	17,383	24,143

2020 წლის ბოლოს შს-ს არ უფიქსირდება სასესხო ვალდებულება. კომპანიას 2019 წლის ბოლოს გააჩნდა მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება გადაფასების შემდეგ შეადგინა 219,045 ლარი. 31.12.18 წლისთვის სასესხო ვალდებულება შეადგენდა 379,985 ლარს.

საბანკო გარანტიები

შპს „აეროსოფტი“-ს დირექტორი
გიორგი შენგელია

სს პროგრედიტ ბანკი ახორციელებდა შემდეგი საბანკო გარანტიებით მომსახურებას:

- 1. საბანკო გარანტია #76.5549 გაიხსნა 31.01.2019-31.01.2020 პერიოდზე 11,800აშშ დოლარზე წლიური 4,50%-ით და უზრუნველყოფს გადახდის გარანტიას (იჯარის ხელშეკრულება 18.12.2017) ბენეფიციარის შპს „გალერია თბილისის“ (ს/კ204558497) სასარგებლოდ;
- 2. საბანკო გარანტია #76.5789 გაიხსნა 18.04.2019 – 21.04.2020 პერიოდზე 3,300აშშ დოლარზე. უზრუნველყოფს შპს CBD Development-თან (ს/კ404382921) დადებული საიჯარო ხელშეკრულების (13.04.2018) გადახდის გარანტიას საგარანტიო თანხის წლიურ 4,50%-ის ოდენობით;
- 3. საბანკო გარანტია #76.5769 გაიხსნა 12.04.2019 – 13.04.2020 პერიოდზე 35,000 ლარზე წლიური 4,50%-ით და უზრუნველყოფს შპს „ემ ეს ჯგუფ“-თან დადებული მიწოდების ხელშეკრულებით (11.04.2019) დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიას.
- 4. საბანკო გარანტია #76.6514 გაიხსნა 05.02.2020-ში და დაიხურა 05.02.2021-ში, საბანკო გარანტიის პროცენტი - 3,8%, თანხა - 7,776 ევრო.

11. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის თავდაპირველი კაპიტალი 10 ლარით განისაზღვრა კომპანიის წესდებით 07.06.2010-ში, ხოლო 28.06.2011-ში და 23.05.2013-ში განხორციელდა საზოგადოების დამფუძნებელ-პარტნიორის მიერ დამატებითი შენატანების გზით კაპიტალის გაზრდა. შესაბამისად 1,000 და 13,855 ლარით. სულ საწესდებო კაპიტალი შეადგენს 14,865 ლარს. დამფუძნებელს უფლება აქვს პერიოდულად მიიღოს გამოცხადებული დივიდენდი. 2020 და 2019 წლებში დამფუძნებელზე არ გაცემულა დივიდენდი. 2018 წელს გაიცა დივიდენდი 109,729 ლარის ოდენობით. გაუნაწილებელი მოგება 2020 წლის ბოლოს შეადგენდა 1,321,230 ლარს, ხოლო 31.12.2019 პერიოდისათვის შეადგენდა 1,272,679 ლარს, 31.12.18 წლისთვის შეადგენდა - 1,146,465 ლარს.

განმარტებები საქმიანობის შედეგების ანგარიშგებისთვის

12. ამონაგები

ამონაგები	2020	2019	2018
საქონლის გაყიდვიდან	3,997,147	5,583,183	7,064,730
მომსახურების გაწევიდან	0	2,126	4,021
სულ:	3,997,147	5,585,309	7,068,751

13. სხვა შემოსავალი

	2020	2019	2018
მიღებული ბონუსი	12,290	17,325	69,198
ზარალის ანაზღაურება სადაზღვევო კომპანიის მიერ	3,452	30,495	
შემოსავალი საპანსიო სააგენტოდან დაბრუნებული თანხიდან		847	
უსასყიდლოდ მიღებული საქონელი ხარვეზიანის ნაცვლად		4,798	
არასაოპერაციო შემოსავალი ძირითადი საშეღებების რეალიზაციიდან			5,858
საშემოსავლო გადასახადი სუბსიდირება	17,096		
შემოსავალი კონვერტაციიდან	1,587		
ჯამი სულ:	34,425	53,465	75,056

14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2020	2019	2018
მარკეტინგისა და სარეკლამო ხარჯი	7,905	6,721	25,290
სატელეკომუნიკაციო	7,533	7,306	7,239
კომუნალური	16,621	29,378	20,039
საფინანსო მომსახურება	13,027	7,457	14,190
განათების ხარჯი	0	5,316	4,280
სხვა და სხვა სამეურნეო ხარჯი	16,723	17,535	9,634
ტრანსპორტირება		26,596	2,716
საწვავი		1,249	4,218
ბანკის ხარჯი	53,635	9,320	107,766
დაზღვევა და საპენსიო შენატანი	7,728	61,329	29,290
სულ:	115,444	178,446	224,662

15. მოგების გადასახადის ხარჯი

მოგების გადასახადი იანგარიშება დაბეგვრის ახალი მოდელის, კერძოდ, ე.წ. ესტონური მოდელის შესაბამისად. კერძოდ: უცხოელ მომწოდებლებზე ავანსად გადახდილი თანხებიდან, მიკრობიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ გაწეული მომსახურებიდან, განაწილებული დივიდენდიდან და სხვა და სხვა ხარჯებიდან.

	2020	2019	2018
მიმდინარე გადასახადი	12,216	31	157

16. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

კომპანიას სხვა არასაოპერაციო ხარჯი არ ერიცხება.

17. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ვალდებულება

კომპანიას დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ვალდებულება არ უფიქსირდება.

18. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით რვა საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე აღებული აქვს სამალაზიო და სასაწყობო ფართები. თვეში ერთხელ საიჯარო ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახადების გადახდა, რომლებიც 2019 წელს აღიარებულია ხარჯად და შეადგენს 344,744 ლარს, ხოლო 2020 წელს - 230,928 ლარს.

19. ინფორმაცია კაპიტალის ცვლილების შესახებ

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	შენიშვნა	2020	2019
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		96,212	126,124
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		96,212	126,214

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		1,287,544	1, 161,330
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
სგანაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(48,526)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			126,214
კაპიტალის სხვა ცვლილებები		(14,000)	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	19	1,321,230	1,287,544

20. განმარტება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ

ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ წარმოდგენილია პირაპირი მეთოდით, რომელიც ასახავს ინფორმაციას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში მომხდარი ცვლილებების შესახებ. ანგარიშგება ამონაგებისა და ხარჯების სახით მოიცავს ფულად შემოსულობებსა და გასაღებს საოპერაციო საქმიანობიდან, საინვესტიციო საქმიანობიდან და საფინანსო საქმიანობიდან.

მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით ფულად ნაკადებში **საოპერაციო საქმიანობიდან** შეტანილია პროდუქციის რეალიზაციის შედეგად და მომსახურების გაწვიდან მიღებული ფულადი სახსრები, საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები, დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები, გადახდილი გადასახადებთან დაკავშირებული ფულადი სახსრები და სხვა საოპერაციო ხარჯები.

ფულად ნაკადებში **საინვესტიციო საქმიანობიდან** შეტანილია ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები და კაპიტალიზებული ხარჯებისათვის გადახდილი თანხები. ასევე შეიტანება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებული ფულადი სახსრები.

ფულად ნაკადებში **საფინანსო საქმიანობიდან** შეტანილია სესხებისა და კრედიტების აღებასა და დაფარვასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები. კერძოდ: კრედიტის აღება, კრედიტის ძირის დაფარვა, კრედიტის %-ის დაფარვა.

საანგარიშო პერიოდის დასასაწყისსა და დასასრულისათვის არსებული ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებაში ცალკე ასახულია საკუროს სხვაობის შედეგები,

შპს „აეროსოფტი“-ს დირექტორი
გიორგი შენგელია

სავალუტო კურსების ცვლილების შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა და ზარალი.

21. პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები კომპანიას არ უფიქსირდება

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.

23. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებულ მხარეს შორის ოპერაციები არ ფიქსირდება, თუმცა ფიქსირდება ოპერაციები ისეთ კომპანიებთან, რომლებშიც დამფუძნებელი მნიშვნელოვან წილს ფლობს. ურთიერთობა ხორციელდება საბაზრო ფასებით.

24. ფინანსური რისკები

საბაზრო პირობებისა და ვალუტის კურსის ცვალებადობა უქმნის კომპანიის საქმიანობას სხვადასხვა ფინანსურ რისკს. ესენია: სავალუტო, საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები, რომლებიც ქმნიან სირთულეებს ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში. კომპანიის რისკების მართვა მიზნად ისახავს მის ფინანსურ საქმიანობაზე უარყოფითი გავლენის მაქსიმალურად შემცირებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოო დარჩენა და საქმიანობის შემდგომი განვითარება ფულის ეფექტური მართვის, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით.

25. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა და ხელმოწერილია 2020 წლის 29 სექტემბერს.